

დაცვის უზრუნველყოფა

ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებების დამცველებთან დაკავშირებით

I. მიზანი

1. ადამიანის უფლებათა დამცველების მხარდაჭერა უკვე დიდი ხანია ევროკავშირის ადამიანის უფლებათა საკითხებზე საგარეო ურთიერთობების პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ამ სახელმძღვანელო მითითებების მიზანია პრაქტიკული რეკომენდაციების მიცემა ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის მოქმედებების გასაძლიერებლად. სახელმძღვანელო მითითებები შეიძლება გამოყენებულ იყოს მესამე ქვეყნებთან ყველა დონეზე კონტაქტებისათვის და აგრეთვე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მრავალმხრივი ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისა და წახალისების მიმდინარე ძალისხმევების გაძლიერებას. სახელმძღვანელო მითითებები ასევე განმარტავს ევროკავშირის მიერ საფრთხეში მყოფი ადამიანის უფლებათა დამცველების დასახმარებლად მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს და იძლევა მითითებებს ადამიანის უფლებათა დამცველთა მხარდაჭერისა და დახმარებისათვის განსახორციელებელ პრაქტიკულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამ სახელმძღვანელო მითითებების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური პროცედურების, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველების საკითხებში გაეროს საგანგებო წარმომადგენლისა და ადამიანის უფლებათა დამცველთა დაცვის სათანადო ადგილობრივი მექანიზმების მხარდაჭერა. სახელმძღვანელო მითითებები დაეხმარება ევროკავშირის წარმომადგენლობებს (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოებსა და საკონსულოებს და ევროკომისიის წარმომადგენლობებს) ადამიანის უფლებათა დამცველებთან მუშაობაში. მართალია, სახელმძღვანელო მითითებების ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებათა დამცველებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების გადაჭრა, ისინი ასევე ზოგადად ხელს შეუწყობენ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა პოლიტიკის განმტკიცებას.

II. განმარტება

2. ამ სახელმძღვანელო მითითებებში ადამიანის უფლებათა დამცველის ცნების განმარტება ეფუძნება "პიროვნების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერისა და დაცვის უფლება-მოვალეობის გაეროს დეკლარაციის" (იხ. დანართი 1) პარაგრაფ 1-ს, სადაც განმარტებულია, რომ "ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთობლივად, ხელი შეუწყოს და იბრძოლოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და განხორციელებისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე".

3. ადამიანის უფლებათა დამცველები არიან ის პირები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ორგანოები რომლებიც ხელს უწყობენ და იცავენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. ადამიანის უფლებათა დამცველები ცდილობენ ხელი შეუწყონ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განვითარებასა და დაცვას, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განვითარებას, დაცვასა და განხორციელებას. ადამიანის უფლებათა დამცველები ასევე ხელს უწყობენ ისეთი ჯგუფების უფლებების გაძლიერებასა და დაცვას, როგორებიცაა მკვიდრი მოსახლეობა. ეს განსაზღვრება არ ეხება იმ პირებს ან ჯგუფებს, რომლებიც ჩადიან ძალადობას ან აღვივებენ მას.

III. შესავალი

4. ევროკავშირი მხარს უჭერს "პიროვნებების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერისა და დაცვის უფლება-მოვალეობის გაეროს დეკლარაციის" პრინციპებს. მართალია, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის პასუხისმგებლობა ძირითადად სახელმწიფოებს ეკისრებათ, ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ყველა - ცალკეული პირები, ჯგუფები და საზოგადოებრივი ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

ადამიანის უფლებათა დამცველთა საქმიანობა მოიცავს:

- დარღვევების აღრიცხვას;
- ასეთი დარღვევების მსხვერპლთა დახმარებას იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან სხვა დახმარების მეშვეობით; და
- დაუსჯელობის ტრადიციებთან ბრძოლას, რომლებიც ასაზრდოებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სისტემატიურ და განმეორებით დარღვევებს.

5. ადამიანის უფლებათა დამცველების მუშაობა ხშირად მთავრობის პოლიტიკისა და მოქმედებების კრიტიკას მოიცავს, მაგრამ ეს ხელისუფლებამ ნეგატიურად არ უნდა აღიქვას. ხელისუფლების პოლიტიკისა და მოქმედებების თაობაზე დამოუკიდებელი შეხედულებებისა და თავისუფალი დებატების შესაძლებლობის დაშვების პრინციპი ფუნდამენტალური ღირებულებაა და ის ადამიანის უფლებათა დაცვის დონის ამაღლების გამოცდილ გზას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დამცველებს შეუძლიათ დაეხმარონ ხელისუფლებებს ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და დაცვაში. კონსულტაციების პროცესის ფარგლებში მათ შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი შესაბამისი კანონმდებლობისა და

ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული გეგმებისა და სტრატეგიების მომზადებაში. საჭიროა ამ როლის აღიარება და მხარდაჭერა.

6. ევროკავშირი მიიჩნევს რომ ადამიანის უფლებათა დამცველების საქმიანობის აღიარება დროთა განმავლობაში გაიზარდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ისინი უზრუნველყოფენ უფრო მაღალი დონის დაცვას დარღვევების მსხვერპლთათვის. ამისდა მიუხედავად, პროგრესი ძვირად იქნა მიღწეული: თავად ადამიანის უფლებათა დამცველები სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებიან თავდასხმის მსხვერპლნი და მათი უფლებები ირღვევა ბევრ ქვეყანაში ევროკავშირი მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დამცველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და უფლებების დაცვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დამცველთა საკითხზე მუშაობისას გენდერული პერსპექტივის გამოყენება.

IV. სახელმძღვანელო მითითებები

7. სახელმძღვანელო მითითებების ოპერაციული მხარის მიზანია მესამე ქვეყნებიდან ადამიანის უფლებათა დამცველების ხელშეწყობისა და დაცვაზე ეფექტური მუშაობის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ფარგლებში.

მონიტორინგი, აღრიცხვა და შეფასება

8. ევროკავშირის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებს უკვე მოეთხოვებათ მათი აკრედიტაციის ქვეყნებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციის თაობაზე პერიოდული ანგარიშების წარმოდგენა. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა მუშა ჯგუფმა (COHOM) ახლახანს დაამტკიცა ამ საქმიანობის გასაადვილებლად შემუშავებული ფორმები. ამ ფორმებში მისიების წარმომადგენლებმა უნდა ასახონ ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობაც, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნებისმიერი მუქარა და თავდასხმა ადამიანის უფლებათა დამცველებზე. ამ კონტექსტში ევროკავშირის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებმა უნდა იცოდნენ, რომ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს შეიძლება გადამწყვეტი ზეგავლენა ჰქონდეთ ადამიანის უფლებათა დამცველების მიერ თავიანთი საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების შესაძლებლობაზე. გატვალისწინებული უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორებიცაა საკანონმდებლო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა სათანადო ზომები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფოები ადამიანების იმ ძალადობისაგან, მუქარისაგან, შურისძიებისაგან, *დე ფაქტო* და *დე იურე* დისკრიმინაციისაგან, ზეწოლისაგან და სხვა ქმედებისაგან დასაცავად, რომელთა მიზეზიც ამ პიროვნებების მიერ ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე გაეროს დეკლარაციაში განსაზღვრული საკუთარი უფლებების კანონიერ განხორციელება გახდა.

საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებმა ადამიანის უფლებათა მუშა ჯგუფს უნდა მისცენ რეკომენდაციები ევროკავშირის

შესაძლო ღონისძიებების თაობაზე, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველთა წინააღმდეგ მიმართული მუქარებისა და თავდასხმების დაგმობის, ასევე დემარშებისა და საზოგადოებრივი განცხადებების გაკეთების აუცილებლობის თაობაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველებს პირდაპირი ან სერიოზული საფრთხე ემუქრებათ. ევროკავშირის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებმა საკუთარ ანგარიშებში ასევე უნდა ასახონ ევროკავშირის მოქმედებების ეფექტურობა.

9. ევროკავშირის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელების ანგარიშები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დამცველთა საკითხებში გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელის, გაეროს სპეციალური მომხსენებლებისა და სახელშეკრულებო ორგანიზაციების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშები და რეკომენდაციები საშუალებას მისცემენ საბჭოს ადამიანის უფლებათა მუშა ჯგუფს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, განსაზღვრონ ის სიტუაციები, როდესაც საჭიროა მოქმედება ევროკავშირის მხრიდან და განსაზღვრონ კონკრეტული ქმედებები, ან, საჭიროებისა და მიხედვით უზრუნველყონ პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი ან ევროსაბჭო შესაბამისი რეკომენდაციებით.

ევროკავშირის წარმომადგენლობათა როლი ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვასა და მხარდაჭერის საქმეში

10. მრავალ მესამე ქვეყანაში ევროკავშირის წარმომადგენლობები (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოები და ევროკომისიის წარმომადგენლობები) წარმოადგენენ მთავარ მაკავშირებელ ჯაჭვს ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოთა და ადგილზე ადამიანის უფლებათა დამცველებს შორის. ამიტომაც, მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ადამიანის უფლებათა დამცველებთან მიმართებაში ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებაში. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის წარმომადგენლობები უნდა ცდილობდნენ გაატარონ პროაქტიური პოლიტიკა ადამიანის უფლებათა დამცველებთან მიმართებაში, ამავდროულად ისინი უნდა აცნობიერებდნენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ევროკავშირის მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიონ მუქარები ან თავდასხმები ადამიანის უფლებათა დამცველებზე. ამიტომაც, შესაბამის შემთხვევებში ისინი უნდა კონსულტაციას უნდა გადიოდნენ ადამიანის უფლებათა დამცველებთან შესაძლო მოქმედებებთან დაკავშირებით. ევროკავშირის წარმომადგენლობათა მიერ განხორციელებული ზომები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

- მჭიდრო კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ, მათ შორის მათზე რომლებიც საფრთხეში არიან;
- ადამიანის უფლებათა დამცველებთან მდგრადი კონტაქტების შენარჩუნება, მათ შორის მათი მიღება წარმომადგენლობებში და მათი სამუშაო ადგილების

მონახულება, და გათვალისწინებული შეიძლება იყოს სპეციალური ოფიციალური შუამდგომლების დანიშვნა, რომლებიც შეითავსებენ მოავალებებს;

- საჭიროების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დამცველთა შესამჩნევი აღიარების უზრუნველყოფა, სათანადო საინფორმაციო ღონისძიებების, ვიზიტებისა ან მოწვევების მეშვეობით;

- საჭიროების შემთხვევაში დასწრება და დაკვირვება ადამიანის უფლებათა დამცველთა სასამართლო პროცესებზე.

მესამე ქვეყნებთან ურთიერთობებში და მრავალმხრივ ფორუმებში ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ პატივისცემის განვითარება

11. ევროკავშირის მიზანია უბიძგოს მესამე ქვეყნებს შეასრულონ თავისი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დამცველების უფლებების პატივისცემისა და მათი არასახელმწიფო აქტორების მხრიდან თავდასხმებისა და მუქარებისაგან დაცვის მიმართულებით. მესამე ქვეყნებთან საკუთარ კონტაქტებში საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირი გამოხატავს აუცილებლობას, რომ ყველა ქვეყანა ემხრობოდეს და იცავდეს შესაბამის საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს, განსაკუთრებით გაეროს დეკლარაციას. ზოგადი ამოცანა უდნა იყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ადამიანის უფლებათა დამცველების თავისუფალი მუშაობის საშუალება მიეცემათ. ევროკავშირი საზოგადოდ ცნობილს გახდის იმას, რომ მისი ამოცანები მისი ადამიანის უფლებათა პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ხაზს გაუსვამს იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი ადამიანის უფლებათა დამცველთა დაცვას ანიჭებს. ამ ამოცანის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებს შორის იქნება შემდეგი ღონისძიებები:

- საჭიროების შემთხვევაში როდესაც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ან მისი უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ან ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლები, ან ევროკომისია სტუმრობენ ქვეყანას, ისინი უნდა შეხვდნენ და წამოჭრან ადამიანის უფლებათა დამცველების კონკრეტული საქმეები, როგორც მესამე ქვეყნებში ვიზიტების განუყოფელი ნაწილი;

- ევროკავშირისა და მესამე ქვეყნების და რეგიონალური ორგანიზაციების პოლიტიკური დიალოგის ადამიანის უფლებათა კომპონენტი საჭიროების შემთხვევაში მოიცავს ადამიანის უფლებათა დამცველთა მდგომარეობას. ევროკავშირი ხაზგასმით აღნიშნავს თავისი მხრიდან ადამიანის უფლებათა დამცველებისა და მათი საქმიანობის მხარდაჭერას და საჭიროების შემთხვევაში წამოჭრის შემფოთების გამომწვევ კონკრეტულ საკითხებს;

- ახლო თანამშრომლობა მსგავსი მიდგომის მქონე სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიასა და გაეროს გენერალურ ასამბლეაში;

- ადამიანის უფლებათა დამცველთა დაცვის არსებული რეგიონალური მექანიზმების გაძლიერების ხელშეწყობა, როგორებიცაა ადამიანისა და ხალხთა

უფლებათა აფრიკული კომისიის ადამიანის უფლებათა დამცველების საკონტაქტო პუნქტი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისიის ადამიანის უფლებათა დამცველების განყოფილება, და სათანადო მექანიზმების შექმნა იმ რეგიონებში სადაც ისინი არ არსებობს.

ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიის საგანგებო წარმომადგენელთა, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველების საკითხებში საგანგებო წარმომადგენელის ხელშეწყობა

12. ევროკავშირის მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიის საგანგებო წარმომადგენლები (საგანგებო მომხსენებლები, საგანგებო წარმომადგენელი, დამოკუთვნილი ექსპერტები და მუშა ჯგუფებია) გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადამიანის უფლებათა დამცველების დასაცავად მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევებში, რათა დაცული იყოს მათი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; მათი უნარი იმოქმედონ და გამოავლინონ მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ განხორციელებული დარღვევების შესახებ და შესაბამის ქვეყანაში ვიზიტების განხორციელება. ადამიანის უფლებათა დამცველების საკითხებში საგანგებო წარმომადგენელს ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ეკისრება, მაგრამ სხვა სპეციალურ წარმომადგენელთა მანდატები ასევე ეხება ადამიანის უფლებათა დამცველებს. ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიის საგანგებო წარმომადგენლების მხარდასაჭერად ევროკავშირის მიერ ხორციელდება შემდეგი მოქმედებები:

- სახელმწიფოთა მხრიდან ადამიანის უფლებათა გაეროს კომისიის საგანგებო წარმომადგენლების ვიზიტების პრინციპულ ფაქტად მიჩნევის ხელშეწყობა;

- ევროკავშირის წარმომადგენლობათა მეშვეობით ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი ჯგუფებისა და უფლებათა დამცველების მიერ გაეროს თემატური მექანიზმების გამოყენების ხელშეწყობა, მათ შორის კონტაქტების დამყარებისა და ინფორმაციის გაცვლის გამარტივება თემატურ მექანიზმებსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს შორის;

- ვინაიდან საგანგებო წარმომადგენლებს არ ძალუძთ საკუთარი მანდატის განხორციელება სათანადო რესურსების არარსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფას ადამიანის უფლებათა საკითხებში უმაღლესი კომისიის საერთო ბიუჯეტიდან.

ადამიანის უფლებათა დამცველების პრაქტიკული მხარდაჭერა, მათ შორის განვითარების პოლიტიკის მეშვეობით

13. ევროპის თანამეგობრობისა და წევრი სახელმწიფოების პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავენ დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტების განვითარების მხარდაჭერას და განვითარებად ქვეყნებში ადამიანის უფლებათა

ხელშეწყობისა და დაცვის ხელშეწყობას წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დამცველთა პრაქტიკული ხელშეწყობის ფართო სპექტრის ნაწილს. ისინი შეიძლება მოიცავდნენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის პროგრამების განვითარებას. პრაქტიკული ხელშეწყობის ფარგლებში შეიძლება ხორციელდებოდეს შემდეგი მოქმედებები:

- ევროპის თანამეგობრობისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადამიანის უფლებათა და დემოკრატიზაციის ორმხრივი პროგრამები კიდევ უფრო უნდა ითვალისწინებდეს განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიული პროცესებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერისა და ასევე ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის აუცილებლობას ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორცაა ადამიანის უფლებათა დამცველების ხელშეწყობა მათი შესაძლებლობების გაძლიერებისა და საზოგადოებრივი გათვინობიერებულობის გაზრდის კამპანიების მეშვეობით;

- პარიზის პრინციპების შესაბამისად შექმნილი ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ეროვნული ორგანოების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, სახალხო დამცველის აპარატებისა და ადამიანის უფლებათა კომისიის, შექმნისა და მუშაობის წახალისება და მხარდაჭერა;

- საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დამცველთა ქსელების შექმნის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა დამცველთა შეხვედრების მოწყობის ხელშეწყობის ჩათვლით;

- მესამე ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის უცხოური რესურსების, მათ შორის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

- ადამიანის უფლებათა საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ გაეროს დეკლარაციას პოპულარიზაცია.

ევროსაბჭოს მუშა ჯგუფების როლი

14. თავისი მანდატის შესაბამისად "COHOM" – ის მუშა ჯგუფი ყურადღებას მიაქცევს ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებასა და დაცვას ევროსაბჭოს მუშა ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციაში. ეს ითვალისწინებს შემდგომ ძალისხმევებს:

- ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკებსა და აქციებში ადამიანის უფლებათა დამცველების საკითხის ჩართვის ხელშეწყობა;

- სათანადო დროის ინტერვალებით სახელმძღვანელო მითითებების განხორციელების მიმოხილვის განხორციელება;

- საჭიროებისდა მიხედვით, გაეროსა და ადამიანის უფლებათა დამცველთა ხელშეწყობის სხვა საერთაშორისო და რეგიონალურ მექანიზმებთან შემდგომი თანამშრომლობის გზების მოძიება.

- ევროსაბჭოსათვის ამ სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებაში მიღწეული წინსვლის თაობაზე არსებული წესის შესაბამისად ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენა, პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტისა (PSC) და პარლამენტების წარმომადგენელთა კომიტეტის (COREPER) მეშვეობით.

პიროვნებების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერისა და დაცვის უფლება-მოვალეობის დეკლარაცია

გენერალური ასამბლეა,

ადასტურებს რა ადამიანის ყველა უფლებისა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ყოველი პიროვნების ყველა ძირითად თავისუფლების დაცვის გაეროს ქარტიის მიზნებისა და პრინციპების დაცვის აუცილებლობას,

ადასტურებს რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა თაობაზე საერთაშორისო კონვენციების მნიშვნელობას, როგორც საბაზო ელემენტებისა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემის განვითარებისაკენ მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევებში და აგრეთვე გაეროს მიერ, ასევე რეგიონალურ დონეზე მიღებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტების მნიშვნელობას,

ბაზს უსვამს რა, იმას რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრი უნდა ერთობლივად და ცალ-ცალკე ასრულებდეს საკუთარ საპატიო მოვალეობას ხელი შეუწყოს და განავითაროს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა ყოველი ადამიანის მიმართ, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობისა, საკუთრებისა, დაბადებისა და ნებისმიერი სხვა სტატუსისა, და კვლავ ადასტურებს რა ქარტიის შესაბამისად ამ ვალდებულებების განხორციელებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას,

აღიარებს რა, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან როლსა და მნიშვნელოვან სამუშაოს რომელსაც ახორციელებენ პირები, ჯგუფები და გაერთიანებები რათა ფაქტიურად აღმოიფხვრას ადამიანის უფლებათა და ხალხთა და პიროვნებათა ძირითად თავისუფლებათა ყველა დარღვევა, მათ შორის მასიური, აშკარა და სისტემატიური დაღრვევები, როგორებიცაა ისინი, რომლებიც წარმოიქმნება აპარტიდის, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის, კოლონიალიზმის, უცხოური დომინირების ან ოკუპაციის, ეროვნული სუვერენიტეტის, ეროვნული ან ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აგრესიისა და საფრთხის, და ადამიანებისათვის თვითგამორკვევისა და საკუთარ ქონებასა და ბუნებრივ რესურსებზე სრული სუვერენიტეტის განხორციელებაზე უარის თქმის შედეგად,

აღიარებს რა კავშირს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების და ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას შორის და იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო

მშვიდობისა და უსაფრთხოების არარსებობა, არ ამართლებს ხსენებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევას,

ადასტურებს რა, იმას რომ ყველა ადამიანის უფლება და ძირითადი თავისუფლება არის საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთადკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული და ისინი უნდა განვითარდეს და განხორციელდეს სამართლიანად და ობიექტურად, თითოეული ამ უფლებისა და თავისუფლების განხორციელების მიმართ რაიმე მიკერძოების გარეშე,

ხაზს უსვამს რა, იმას რომ სახელმწიფოს ეკისრება უპირველესი მოვალეობა ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

აღიარებს რა, იმას რომ ცალკეულ პირებს, ჯგუფებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ უფლება და მოვალეობა განავითარონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და მათი ცოდნა ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

აცხადებს:

მუხლი 1

ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად, ან სხვა პიროვნებებთან ერთად მხარი დაუჭიროს და იბრძოდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 2

1. ყოველი სახელმწიფოს პირველხარისხიანი მოვალეობა და ამოცანაა დაიცვას, მხარი დაუჭიროს და განახორციელოს ყველა ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მათ შორის, ისეთი ნაბიჯების გადადგმით რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს შესაქმნელად სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებში ყველა საჭირო პირობის, ასევე სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირს, ცალკე თუ სხვა პირებთან ერთად ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად პრაქტიკულად ისარგებლოს ყველა უფლებითა და თავისუფლებით.

2. ყოველმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ნაბიჯები რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ამ დეკლარაციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ჭეშმარიტად უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3

იურიდიულ საფუძველს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებისა და გამოყენებისათვის, რომლის შესაბამისადაც უნდა ხორციელდებოდეს მთელი ის საქმიანობა რომელიც ამ დეკლარაციაში გათვალისწინებულია ამ უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობის,

დაცვისა და ეფექტური რეალიზაციისათვის, წარმოადგენს შიდა ეროვნული სამართალი, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ გაეროს ქარტიისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად ნაკისრ ვალდებულებებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით.

მუხლი 4

არაფერი ხსენებულ დეკლარაციაში არ შეიძლება განიმარტოს როგორც გაეროს ქარტიის მიზნებისა და პრინციპების შემზღუდავი ან საწინააღმდეგო, ან როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციისა და ამ სფეროში მოქმედი სხვა საერთაშორისო დოკუმენტებისა და ვალდებულებების შემზღუდავი ან საწინააღმდეგო.

მუხლი 5

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით, ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აქვთ უფლება:

(ა) მშვიდობიანი შეხვედრისა და შეკრებისა;

(ბ) შექმნან, შეურთდნენ და მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასოციაციებსა და ჯგუფებში;

(გ) კავშირი იქონიონ არასამთავრობო ან ხელისუფლებათაშორის ორგანიზაციებთან.

მუხლი 6

ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება:

(ა) იცოდნენ, ეძიონ, მოიპოვონ, მიიღონ და ფლობდნენ ინფორმაციას ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითად თავისუფლებების შესახებ, მათ შორის ხელმიწვდომებოდეთ ინფორმაცია ამ უფლებათა და თავისუფლებებათა განხორციელების შესახებ შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო, სამართლებრივი ან ადმინისტრაციული სისტემებში;

(ბ) თავისუფლად გამოაქვეყნონ, გადასცენ ან გაავრცელონ სხვების საყურადღებოდ შეხედულებები, ინფორმაცია და ცოდნა ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითად თავისუფლებების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა თაობაზე დოკუმენტებითა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებით;

(გ) გამოიკვლიონ, განიხილონ, ჩამოაყალიბონ და იქონიონ შეხედულება პრაქტიკაში ან კანონმდებლობის დონეზე ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითად თავისუფლებების დაცულობის შესახებ და ამ შეხედულებების

საფუძველზე და სხვა შესაბამისი საშუალებით ამ საკითხებს საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ.

მუხლი 7

ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება, განავიტარონ და განიხილონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი იდეები და პრინციპები და იბრძოლონ მათი აღიარებისათვის.

მუხლი 8

1. ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება ჰქონდეთ ქმედითი შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მონაწილეობა მიიღონ მათი ქვეყნის მართვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

2. სხვა საკითხებთან ერთად ეს მოიცავს უფლებას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში სახელმწიფო ორგანოებსა და სააგენტოებს განსახილველად წარუდგინოს კრიტიკული შეფასებები და შეთავაზებები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ყურადღება მიაპყრონ მათი საქმიანობის ნებისმიერ ასპექტს, რომელიც შეიძლება ზღუდავდეს ან აბრკოლებდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობას, დაცვას და განხორციელებას.

მუხლი 9

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებისას, მოცემულ დეკლარაციაში მოცემულ უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ჩათვლით, ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება ისარგებლონ ქმედითი კომპენსაციით და დაცული იყონ ხსენებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

2. ამ კუთხით, ყველას, ვისი უფლებები და თავისუფლებები მათი აზრით ირღვევა ყველას აქვთ უფლება, პირადად ან უფლებამოსილი იურიდიული წარმომადგენლის მეშვეობით იჩივლონ და იქონიონ უფლება ამ საჩივრის დაუყოვნებლივ განხილვაზე კანონის მიერ განსაზღვრულ დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და კომპეტენტურ სასამართლო ან სხვა ორგანოში, და უფლება რომ მიიღონ ასეთი კომპეტენტური ორგანოსაგან კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურებას, ნებისმიერი სათანადო კომპენსაციის ცათვლით, იმ შემთხვევებში როდესაც ნამდვილად ადგილი ჰქონდა ამ პიროვნების უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევას, ასევე უფლება საბოლოო გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულებისა და სათანადო ანაზღაურების მიღების უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე.

3. ამავე კუთხით, ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში ასევე აქვთ უფლება:

(ა) კომპეტენტურ შიდა სახელმწიფოებრივ სასამართლო, ადმინისტრაციულ ან საკანონმდებლო ორგანოებთან ან სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით

გათვალსწინებულ ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან იჩივლონ ცალკეული თანამდებობის პირებისა და სახელმწიფოებრივი ორგანოების პოლიტიკისა და მოქმედებების შესახებ, რომლებიც არღვევენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, პეტიციისა ან სხვა სათანადო საშუალების მეშვეობით, უსაფუძვლო დაგვიანების გარეშე;

(ბ) დაესწრონ საჯარო მოსმენებს, სასამართლო პროცესებსა და განხილვებს რათა შეიქმნან აზრი ამ უკანასკნელთა ეროვნულ კანონმდებლობასთან და შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებთან და ხელშეკრულებებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით;

(გ) შესთავაზოს და უზრუნველყოს პროფესიულად კვალიფიცირებული იურიდიული დახმარება და სხვა სათანადო რჩევა და დახმარება ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების დასაცავად.

4. ამავე კუთხით, და შესაბამისი საერთაშორისო ინტრუმენტებისა და პროცედურების შესაბამისად, ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება, ჰქონდეს დაუბრკოლებელი წვდომა საერთაშორისო ორგანოებზე, რომლებსაც გააჩნიათ ზოგადი ან ნაწილობრივი კომპეტენცია მიიღონ და განიხილონ შეტყობინებები ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს სწრაფი და მიუკერძოებელ გამოძიება ან უზრუნველყოს ასეთი გამოძიების ჩატარება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ მის იურისდიქციაში მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევას.

მუხლი 10

არავინ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა, საკუთარი მოქმედებით ან შესაბამის შემთხვევაში უმოქმედობით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევაში და ასეთ მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში არავინ არ უნდა დაისაჯოს ან გახდეს მის მიმართ რაიმე უარყოფითი ქმედების ობიექტი.

მუხლი 11

ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება, კანონიერად განახორციელოს თავისი საქმიანობა ან პროფესია. ყველა, ვისაც საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე შეიძლება იქონიოს ზეგავლენა ადამიანის ღირსებაზე, სხვა ადამიანის უფლებებზე და ძირითად თავისუფლებებზე, უნდა პატივს სცემდეს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს და დაიცვას ხსენებულ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული ან ეთიკის სტანდარტები.

მუხლი 12

1. ყველას, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან საქმიანობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.

2. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა რათა უზრუნველყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ყველა პირის დაცვა, ინდივიდუალურად ან სხვებთან გაერთიანებაში, ნებისმიერი სახის ძალადობის, მუქარის, შურისძიების, უარყოფითი "დე ფაქტო" ან "დე იურე" დისკრიმინაციის, ზეწოლისა და ნებისმიერი სხვა უკანონობისაგან, რომელიც მიმართულია მის წინააღმდეგ, მის მიერ მოცემული დეკლარაციით გათვალისწინებული კანონიერი უფლებების გამოყენების გამო.

3. ამასთან დაკავშირებით, ყველას აქვს უფლება, ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით ეფექტურად დაცული იყოს მის მიერ მშვიდობიანი საშუალებების, საქმიანობის და აქტების, ასევე ჩაურევლობის მეშვეობით პროტესტისა და ოპოზიციის გამოხატვისას, ისეთი რეაგირებისაგან სახელმწიფოების მხრიდან, რაც იწვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევას და ასევე ადამიანების ჯგუფებისა და ცალკეული პირების მიერ განხორციელებული ძალადობის აქტებისაგან, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ ადამიანის უფლებებითა და ძირითად თავისუფლებებით სარგებლობაზე.

მუხლი 13

ყველას, აქვს უფლება ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში, მოითხოვოს, მიიღოს და გამოიყენოს რესურსები პირდაპირი მიზნით, ხელი შეუწყოს და დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითად თავისუფლებები მშვიდობიანი საშუალებებით, ამ დეკლარაციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14

1. სახელმწიფო პასუხისმგებელია მიიღოს საკანონმდებლო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა სათანადო ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის იურისდიქციაში მყოფ ყველა პირს გაერკვიონ საკუთარ სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში.

2. სხვა საკითხებთან ერთად ასეთი ზომები მოიცავენ შემდეგ ღონისძიებებს:

(ა) სახელმწიფო კანონებისა და წესების და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სათანადო ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების გამოქვეყნება და ფართო ხელმისაწვდომობა;

(ბ) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო დოკუმენტების, მათ შორის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად შექმნილი ორგანოებისადმი მათში მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ანგარიშების, ასევე ამ ორგანოებში

გამართული დისკუსიებში შემაჯამებელი დოკუმენტების და ამ ორგანოების მიერ შექმნილი ოფიციალური მოხსენებების სრული და თანაბარი ხელმისაწვდომობა.

3. საჭიროებისდა მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს და მხარი დაუჭიროს ახალი დამოუკიდებელი ეროვნული ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებას, რომლებიც მიზნად ისახავენ დამოუკიდებელ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობას და დაცვას მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, იქნება ეს სახალხო დამცველის ინსტიტუტი, ადამიანის უფლებების კომისიები თუ ნებისმიერი სხვა ფორმის შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

მუხლი 15

სახელმწიფო პასუხისმგებელია უზრუნველყოს და, სადაც ეს საჭიროა, ხელის შეუწყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სწავლებას განათლების ყველა დონეზე და უზრუნველყოს, რომ ყველამ ვინც პასუხისმგებელია... იურისტების, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების, სამხედრო ზალების პერსონალისა და სახელმწიფო მოხელეების მომზადებაზე, ჩართონ თავის სასწავლო პროგრამაში ადამიანის უფლებების სწავლების სათანადო ელემენტები.

მუხლი 16

ცალკეულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს დაშესაბამის საზოგადოებრივ ინსტიტუტებს მნიშვნელოვან როლი ეკისრებათ ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების შესახებ საზოგადოების უკეთ გათვინობიერებაში, ისეთი საქმიანობის მეშვეობით, როგორებიცაა ამ სფეროში განათლება, ტრენინგები და კვლევა, რათა მათი საქმიანობის განხორციელებისას კიდევ უფრო გაძლიერდეს ისეთი მიმართულებები როგორებიცაა ურთიერთგაგება, ტოლერანტობა, მშვიდობა და მეგობრული ურთიერთობები ერთა და სხვადასხვა რასისა და რელიგიის მქონე ჯგუფებს შორის ამ საზოგადოებებისა და თემების არსებობის სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 17

მოცემულ დეკლარაციაში განხილული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, ყველა ვინც მოქმედებს ცალკე ან სხვებთან გაერთიანებაში, უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც შეესაბამება სათანადო საერთაშორისო ვალდებულებებს და რომლებიც კანონით განსაზღვრულია იმ ერთადერთი მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო აღიარება და პატივისცემა და ისეთ ვალდებულებებს, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 18

1. ყოველ ადამიანს გააჩნია მოვალეობები საზოგადოების მიმართ და ამ საზოგადოების ფარგლებში, მხოლოდ რომელშიცაა შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. პიროვნებებს, ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ და აქვთ პასუხისმგებლობა დემოკრატიის დაცვის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერის და დემოკრატიული საზოგადოების, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით.

3. პიროვნებებს, ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ სათანადო ხელშეწყობაში ყოველი ადამიანის უფლებისა სოციალურ და საეთაშორისო წესრიგისა, რომელშიც ადამიანის უფლებათა სრულად იქნება განხორციელებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვა სამართლებრივ დოკუმენტებში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 19

ამ დეკლარაციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ამ დეკლარაციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.

მუხლი 20

ამ დეკლარაციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს უფლებას ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და ან არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაეროს ქარტიის დებულებებს.

შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია
- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია
- ბავშვთა უფლებათა კონვენცია
- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ
- კონვენცია რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მისი ოქმები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობა
- ევროპული სოციალური ქარტია / ევროპული სოციალური ქარტიის ახალი რედაქცია
- ადამიანისა და ხალხთა უფლებათა აფრიკული ქარტია
- ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია
- ომის მსხვერპლთა დაცვის ჟენევის კონვენცია და მისი ოქმები, ასევე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ძალაში მყოფი ჰუმანიტარული კანონმდებლობის სტანდარტული წესები
- დევნილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და მისი 1967 წლის ოქმი
- რომის წესდება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ
- დეკლარაცია პიროვნებების, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ორგანოების უფლება-მოვალეობათა შესახებ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის მიმართებით.